

შპს „TV LUX GEORGIA“

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს „TV LUX GEORGIA“

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5-6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7-8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	9
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	14
4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	19
5. ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	20

შპს TV LUX GEORGIA ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	194,023	197,019	214,589
არამატერიალური აქტივები	2	2,237	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		196,260	197,019	214,589
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	3	396,949	466,164	677,957
გაცემული სესხები	4	212,870	20,965	306,794
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,070,728	2,415,419	1,073,048
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	793,186	4,171	1,527
სულ მიმდინარე აქტივები		2,473,733	2,906,719	2,059,326
სულ აქტივები		2,669,993	3,103,738	2,273,915
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი		-	-	-
დაგროვილი მოგება		2,236,764	2,261,640	1,105,865
სულ საკუთარი კაპიტალი		2,236,764	2,261,640	1,105,865
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	-
ანარიცხები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან	7	169,975	28,081	298,340
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	263,254	513,644	836,480
საგადასახადო ვალდებულებები		-	300,373	33,230
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		433,229	842,098	1,168,050
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,669,993	3,103,738	2,273,915

*(ერთეული ლარი)

შპს TV LUX GEORGIA ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	1		194,023	197,019	214,589
არამატერიალური აქტივები	2		2,237	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები			196,260	197,019	214,589
მიმდინარე აქტივები					
მარაგები	3		396,949	466,164	677,957
გაცემული სესხები	4		212,870	20,965	306,794
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5		1,070,728	2,415,419	1,073,048
ფული და ფულის ეკვივალენტები	6		793,186	4,171	1,527
სულ მიმდინარე აქტივები			2,473,733	2,906,719	2,059,326
სულ აქტივები			2,669,993	3,103,738	2,273,915
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
საკუთარი კაპიტალი					
კაპიტალი			-	-	-
დაგროვილი მოგება			2,236,764	2,261,640	1,105,865
სულ საკუთარი კაპიტალი			2,236,764	2,261,640	1,105,865
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხები			-	-	-
ანარიცხები			-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები					
მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან	7		169,975	28,081	298,340
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8		263,254	513,644	836,480
საგადასახადო ვალდებულებები			-	300,373	33,230
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			433,229	842,098	1,168,050
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			2,669,993	3,103,738	2,273,915

*(ერთეული ლარი)

დირექტორი

გიორგი მაისურაძე

მთ.ბუღალტერი

ინგა ჯანიაშვილი



შპს TV LUX GEORGIA		შენიშვნა	2019	2018
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
ამონაგები	9	2,799,416	5,638,405	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,010,909)	(4,044,896)	
საერთო მოგება		788,507	1,593,509	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(826,616)	(493,521)	
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები		(12,459)	-	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(50,568)	1,099,988	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		665	416	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(57)	-	
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო		57,406	51,911	
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)		-	-	
ფინანსური ხარჯი		-	(127)	
ფინანსური შემოსავალი		17,006	6,745	
მოგება დაბეგვრამდე		24,452	1,158,933	
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	
წმინდა მოგება/ზარალი		24,452	1,158,933	
სხვა სრული შემოსავალი		-	-	
სულ სული შემოსავალი		24,452	1,158,933	

*(ერთეული ლარი)

შპს TV LUX GEORGIA	შენიშვნა	2019	2018
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	9	2,799,416	5,638,405
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,010,909)	(4,044,896)
საერთო მოგება		788,507	1,593,509
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(826,616)	(493,521)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები		(12,459)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(50,568)	1,099,988
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		665	416
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(57)	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო		57,406	51,911
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)		-	-
ფინანსური ხარჯი		-	(127)
ფინანსური შემოსავალი		17,006	6,745
მოგება დაბეგვრამდე		24,452	1,158,933
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		24,452	1,158,933
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		24,452	1,158,933

*(ერთეული ლარი)

დირექტორი

გიორგი მაისურაძე

მთ.ბუღალტერი

ინგა ჯანაშვილი



შპს TV LUX GEORGIA
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	-	-	1,105,865	1,105,865
წლის წმინდა მოგება			1,158,933	1,158,933
დივიდენდი			(3,158)	(3,158)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	-	-	2,261,640	2,261,640
წლის წმინდა მოგება			24,452	24,452
დივიდენდი			(49,328)	(49,328)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	-	-	2,236,764	2,236,764

*(ერთეული ლარი)

შპს TV LUX GEORGIA
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	-	-	1,105,865	1,105,865
წლის წმინდა მოგება			1,158,933	1,158,933
დივიდენდი			(3,158)	(3,158)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	-	-	2,261,640	2,261,640
წლის წმინდა მოგება			24,452	24,452
დივიდენდი			(49,328)	(49,328)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	-	-	2,236,764	2,236,764

*(ერთეული ლარი)

დირექტორი

გიორგი მაისურაძე

მთ.ბუღალტერი

ინგა ჯანიაშვილი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „TV LUX GEORGIA“ (404431021) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ტელესაკომუნიკაციო საქმიანობა, კერძოდ ხმისა და გამოსახულების მიმღები, ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურის მონტაჟი და მომსახურება. კომპანია დაფუძნდა 2012 წლის 30 ოქტომბერს. დღეს-გადამხდელად რეგისტრირებულია 2012 წლის 31 ოქტომბერს. კომპანიას ყავს ორი დამფუძნებელი. ოლექსანდრ შოსტაკოვსკი (უკრაინის მოქალაქე პ/ნ 3087218370) 50% და გიორგი მაისურაძე (საქართველოს მოქალაქე პ/ნ 01024039681) 50%, ეს უკანასკნელი აგრეთვე წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ., N57, ბ. N56

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, გივი კარტოზიას 8, კორპ 7, ბინა 3

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების **(მსს ფასს)** შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული მეორე ფინანსური ანგარიშგება.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა და მიიღო დაშვება, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019, 2018, წლის 31 დეკემბერსა და 2018 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვრისათვის	2.5922	3.1044

2.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20-30 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-9 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	6-14 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით.

2.10 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო

ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.11 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შენიშვნა 1 (ძირითადი საშუალებები)

ძირითადი საშუალებები 2019, 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა და შენობა	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ავტო- ტრანსპორტი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2018	198,510	13,538	10,447	23,355	245,850
შემოსვლა		12441	2992		15,433
გასვლა					0
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	198,510	25,979	13,439	23,355	261,283
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	19,851	6,411	5,753	16,816	48,831
ცვეთა	9926	4044	2124	2335	18429
გასულების დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	29,777	10,455	7,877	19,151	67,260
წმინდა საბალანსო ღირებულება					
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	178,659	7,127	4,694	6,539	197,019
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	168,733	15,524	5,562	4,204	194,023

შენიშვნა 2 (არამატერიალური აქტივები)

დასაშვები ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
დასაშვები ღირებულება 31.12.2018	0	0
შემოსვლა	2422	2422
გასვლა		0
დასაშვები ღირებულება 31.12.2019	2,422	2,422
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	0	0
ცვეთა	185	185
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	185	185
წმინდა საბალანსო ღირებულება		
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	0	0
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	2,237	2,237

შენიშვნა 3 (მარაგები)

მარაგები	2019	2018
ნედლეული და მასალები	396,949	466,164
სულ	396,949	466,164

შენიშვნა 4 (გაცემული სესხები)

გაცემული სესხები	2019	2018
გაცემული სესხი	194,432	13,005
მისაღები პროცენტი	18,438	7,960
სულ	212,870	20,965

შენიშვნა 5 (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	764,388	2,359,227
გადახდილი ავანსები	306,340	56,192
სულ	1,070,728	2,415,419

შენიშვნა 6 (ფული და ფულის ეკვივალენტები)

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2019	2018
ნაღდი ფული	0	1,297
საბანკო ანგარიშები	793,186	2,874
სულ	793,186	4,171

შენიშვნა 7 (მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან)

მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან	2019	2018
მიღებული ავანსები	169,975	28,081
სულ	169,975	28,081

შენიშვნა 8 (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	242,720	490,770
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	20,534	13,653
გადასახდელი ხელფასები	-	9,221
სულ	263,254	513,644

შენიშვნა 9 (ამონაგები)

ამონაგები	2019	2018
რეალიზაცია	2,622,302	5,451,082
შემოსავალი მომსახურებიდან	177,114	187,323
სულ	2,799,416	5,638,405

შენიშვნა 10 (საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
შრომის ანაზღაურება	586,629	365,100
საიჯარო ქირა	40,783	27,052
დაზღვევის ხარჯები	15,071	19,651

ცვეთა და ამორტიზაცია	18,614	19,212
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	165,519	62,506
სულ	826,616	493,521

4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან 2019 წლის მდგომარეობით ტრანზაქციები მოცემული ქვემოთ:

	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	20,534	13,653
სულ	20,534	13,653

2019 წელს დაკავშირებული მხარისგან მოხდა 17,505 ლარის საქონლის შეძენა საბაზრო პირობებით. აღნიშნულ საქონელში 2019 წელს გადახდილია 10,624 ლარი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულება შეადგენდა 13,653 ლარს , შესაბამისად ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 20,534 ლარს.

ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე
გაცემული ანაზღაურება

	2019	2018
შრომის ანაზღაურება მთლიანად	202,540	135,880
სულ	202,540	135,880

5. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს: 2020 წლის დასაწყისში მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი ვირუსი COVID-19 (კორონავირუსი), რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო, საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 1 თვით, რომელიც მოგვიანებით გახანგრძლივდა იმავე ვადით. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანია გადავიდა მუშაობის ე.წ „დისტანციურ რეჟიმზე“.

კომპანიის კლიენტების ნაწილმა, რომელთაც პანდემიის გამო დროებით შეაჩერეს საქმიანობა, შეწყვიტეს ან შეაჩერეს მომსახურების ხელშეკრულებები. აგრეთვე ზოგიერთი ხელშეკრულება გადაიხედა და შემცირდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ასანაზღაურებელი თანხები. რაც უარყოფითად აისახა კომპანიის ფულად ნაკადებსა და შემოსავალზე. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის, რომ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2021 წლის 17 აგვისტოს.